გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

განკარგულება № 140

2020 წლის 9 ოქტომბერი
ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2020 წლის 01 იანვრიდან 31 ივლისის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2020 წლის 01 იანვრიდან 31 ივლისის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2020 წლის 01 იანვრიდან 31 ივლისის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ

2020 წლის 01 იანვრიდან 31 ივლისის პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური თავისი საქმიანობის წარმართვაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის", „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანების „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანების „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ განსაზღვრული გადახდების განხორციელების წესის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 08 ივლისის №385 ბრძანების „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", გორის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №15 დადგენილებით დამტკიცებულ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების, სხვა მოქმედი კანონმდებლობის და სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური წარმოდგენილია 16 საშტატო ერთეულით - სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე და 3 მეორადი სტრუქტურული ერთეული (განყოფილება);

ბიუჯეტის დაგეგმვის და ანალიზის განყოფილება:

თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანებით დამტკიცებულ საბიუჯეტო კლასიფიკაციით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით.

განყოფილების საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 3 ერთეულს: განყოფილების უფროსი და ორი სპეციალისტი.

გორის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ რესურსების შეუფერხებლად ხარჯვის მიზნით განხორიელდა ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების კვარტალური განწერა ბიუჯეტის მართვის ელეტრონულ სისტემაში.

განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპების მიერ დამტკიცებული რესურსების ფარგლებში წარმოდგენილი საშტატო განრიგების და ხარჯთაღრიცხვების შესწავლა მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმება.

მომზადდა 2019 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიში და წარედგინა საკრებულოს დასამტკიცებლად.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების ყოველთვიური შესრულებები და ასევე I და II კვარტლების შესრულების მიმოხილა, რომელიც წარედგინა საკრებულოს განსახილველად.

2021-2024 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის მოსამზადებლად მიმდინარე წლის 1 მარტის მდგომარეობით უზრუნველყოფილი იქნა მერის ბრძანების პროექტის მომზადება.

გორის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ფორმირების და 2021-2024 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის მომზადების მიზნით ა(ა)იპ-ს და მერიის სამსახურებს ეცნობათ 2021 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი საშტატო რიცხოვნობის და ასიგნების ზღვრული მოცულობები. მიმდინარეობს წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვა და დამუშავების პრიორიტეტის დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოსამზადებლად.

წინა წლის ვალდებულებების. წლის დასაწყისისათვის არსებული თავისუფალი ნაშთის და საქართველოს მთავრობის კანკარგულებებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მომზადდა დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტები. საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 6(ექვსი) ცვლილების პროექტის მომზადება და დამტკიცების შემდეგ ცვლილების ასახვა ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ბიუჯეტის შესრულების კონტროლის განყოფილება უზრუნველყოფს: მიღებული ხელშეკრულებებისა და შესაბამისი ინსტრუქციით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების საფუძველზე, საბიუჯეტო რესურსების გათვალისწინებით, საბიუჯეტო ვალდებულების დოკუმენტის მომზადებას და დარეგისტრირებას ხაზინის ელექტრონულ სისტემაში; ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის მეშვეობით, წარმოდგენილი ვალდებულების და მოთხოვნის დოკუმენტისა და კვარტალური განაცხადის განხილვას, დადასტურებას და გადაგზავნას სახელმწიფო ხაზინაში; სახელმწიფო ხაზინაში გახსნილი ბიუჯეტის ანგარიშების მონიტორინგს; ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების გეგმის შესრულების მაჩვენებლების ანალიზს; ბიუჯეტის შემოსულობების მონაცემთა ბაზის ფორმირებას, ანალიზს და შესაბამისი წინადადებების მომზადებას; მუნიციპალური პროგრამების საფინანსო მონიტორინგს.

ბუღალტერიის განყოფილება უზრუნველყოფს: სტრუქტურული ერთეულებიდან ელექტრონული წერილებით მიღებული ეკონომიკური მოვლენების ფაქტის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის დამუშავებას, საბიუჯეტო ვალდებულებიდან საგადახდო მოთხოვნის ფორმირებას ანგარიშსწორების განხორციელების მიზნით; სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში, მხარჯავების მოდულში სახაზინო ოპერაციების წარმოებას; წინასწარი გადახდის (ავანსის) დამოწმებას საგადახდო მოთხოვნით გათვალისწინებულ ვადაში; მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული ფაქტობრივი ხარჯების, არაფინანსური აქტივებით, ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვას დადგენილი წესის შესაბამისად; მუნიციპალიტეტის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენას; მერიის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემი თანხების დარიცხვას, უწყისების შედგენას და გაცემას; საგადასახადო დეკლარაციის შედგენას და დადგენილ ვადაში შესაბამის ორგანოში წარდგენას; იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო მოვლენის შედეგად ანგარიშსწორებათა სრულ აღრიცხვას; „ბიუჯეტის

დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" დადგენილი წესის შესაბამისად განხორციელებული ფაქტობრივი ხარჯების, არაფინანსური აქტივებით, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით ოპერაციების ყოველდღიურ აღრიცხვას; არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების აღრიცხვას, ინვენტარიზაციაში მონაწილეობას და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვას.

საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად სამსახურმა გაუწია ორგანიზება და მომზადებული იქნა მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც დადგენილ ვადაში წარედგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მიმდინარეობს ა(ა)იპ-ების მიერ წარმოდგენილი 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვის და საკუთარი შემოსულობების ხარჯთაღრიცხვების ცვლილებების ასახვა ბიუჯეტის ელექტრონული მართვის სისტემაში.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად ა(ა)იპ-ებმა დადგენილ ვადებში წარმოადგინეს 2021 წლის საბიუჯეტო განაცხადები, განსახორციელებელი პროგრამების და საკუთარი შემოსულობების და ხარჯების შესახებ ინფორმაციები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ფორმით და ვადებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ეკონომიკურ, ფუნქციონალურ და ორგანიზაციული კლასიფიკაციის ჭრილში ინფორმაცია (მ. შ. ყოველთვიური, კვარტალური) წარედგინება ფინანსთა სამინისტროსა და სამხარეო ადმინისტრაციას. ფინანსთა სამინისტროში წარდგენილ ანგარიშში ასახულია ინფორმაცია წლიური გეგმით მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ; იგი ასევე მოიცავს ინფორმაციას ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ. სამხარეო ადმინისტრაციაში წარდგენილ შესრულების ანგარიშებში აისახება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების გეგმები და შესრულება შესაბამისი პერიოდისათვის ნაზარდი ჯამით, სადაც ცალკეულად განხილულია შემოსავლების სახეების შესრულება გეგმისა და ფაქტიურად მიღებული შემოსავლების პროცენტული შეფარდებით; როგორც ადგილობრივი შემოსავლების ასევე მიღებული ტრანსფერების და ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ხარჯების საკასო შესრულება გეგმა-ფაქტის პროცენტული შედარებით. აღნიშნულ პერიოდში მომზადდა და წარდგენილ იქნა 2020 წლის I-VII თვეების ანგარიშები.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური სუბსიდირებას უწევს სხვადასხვა პროფილის მქონე 11 (თერთმეტ) არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

გადასახდელების დასაფინანსებლად, მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშიდან თანხა გაიცემა საბიუჯეტო განწერის მიხედვით, საბიუჯეტო ვალდებულების გათვალისწინებით. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებულია ხაზინაში 1323 ვალდებულების დოკუმენტი წერილისა და ბრძანების საფუძველზე, ასევე დარეგისტრირებულია ხაზინაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში რეგისტრირებული 305 და არარეგისტრირებული 140 ხელშეკრულება.

ხელფასებით ანგარიშსწორებას მუნიციპალიტეტი ახორციელებს 333 საშტატო და 25 შტატგარეშე ერთეულთან.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში გამოიყენება საბუღალტრო პროგრამა ორისი, რომელშიც ხდება სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ბუღალტრული გატარებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების შესაბამისად. შედგენილია 2019 წლის ბუღალტრული ბალანსი. მუნიციპალიტეტი ჩართულია საპილოტე პროგრამაში - IPS-ს ახალ სტანდარტზე გადასასვლელად .

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური კოორდინირებულად მუშაობს მერიის სხვა სამსახურებთან, მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილ იურიდიულ პირებთან, წარმომადგენლობით ორგანოსთან და სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე სხვა პირებთან, დროულად გაიცემა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომელთათვის დაგეგმილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებული ონლაინ ტრენინგები, სადაც ძირითადი საკითხი იქნება ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მომზადება სსბასს-ის (IPS-ს) სტანდარტების საფუძველზე, რომლის განხორციელება სრულყოფილად დაგეგმილია 2021 წლიდან.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ყველა თანამშრომელი დასაქმებულია ტესტირების გავლის შემდგომ, გააჩნიათ გუნდური მუშაობის უნარი, ანალიტიკური აზროვნება, არიან შედეგზე ორიენტირებულნი და შესაბამისად, 6 თვის შედეგების მიხედვით სამსახურის ხელმძღვანელის მხრიდან მიღებული აქვთ კარგი შეფასება.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელებისათვის ჩართულია სამსახურის ყველა თანამშრომელი და ხელმძღვანელობს მერის 12 მარტის N1984-ს ბრძანებით დამტკიცებული დირექტივების შესაბამისად.